

რუსეთი აფხაზებს 1 კგ
ფაროსანაში 1000 რუბლს
გადაუხდის



სოხუმში აზიურ ფაროსანათან დაკავშირებით გამართულ თათბირზე რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ჯამბურათ ხატუოვმა განაცხადა, რომ რუსური მხარე მზადაა აფხაზეთის მცხოვრებლებს 1 კგ ფაროსანაში 1000 რუბლი გადაუხადოს.

მეცნიერებს მწერები ფერომონური ხაფანგების დამზადებისთვის სჭირდებათ, რომლებსაც შემდგომ აფხაზეთში ფაროსანასთან ბრძოლისთვის გამოიყენებენ. რუსი მეცნიერები ასევე მავნებლის გენეტიკას და მასზე ქიმიური პრეპარატების ზეგავლენას შეისწავლიან. მწერები რაიონურ განყოფილებებში მჭიდროდ დახურულ პლასტმასის ჭურჭელით უნდა მიიტანონ.

“ამჟამად მავნებელი ძირის მდგომარეობაშია, ამიტომ აფხაზეთის მოსახლეობა უფრო იოლად შეძლებს მისი კერების აღმოჩენას და განადგურებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითოეული ფაროსანა 6 მილიონამდე კვერცხს დებს, არსებობს გარანტია, რომ მავნებლის ხელით შეგროვება ჯერჯერობით მასთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია.” – ალნიშნა ჯამბურათ ხატუოვა.